შპს ტელერადიოკომპანია "ოდიში"-ს ზონაში მოქმედიადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ზუგდიდი 2017

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ზუგდიდის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება "ოფერტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში აქცეპტანტი).

ზუგდიდის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების "ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN302755) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPG4 (H-264-ISO/IEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3, Guard interval:1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ/წმ, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ/წმ-ისა;

1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ.ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი №19

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე

1.4 ოფერტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი, ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით.

2. "ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 ზუგდიდის ზონაში ღია ეთერით 1მგბტ/წმ-ით გავრცელებისთვის ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 930 (ცხრა ას ოცდაათ) ლარს დღგ-ს ჩათვლით (2.15 მგბტ/წმ - 2000 ლარს დღგ-ს ჩათვლით)

3. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1 'აქცეპტანტი" ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ბ) ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 01 თებერვლიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე - 2018 წლის 01 თებერვლამდე.

ტელერადიოკომპანია "ოდიში"-ს

გენერალური დირექტორი: დავით გრიგოლია